



საგანმანათლებლო პროგრამა

დამტკიცებულია: თპუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 ოქტომბრის N5/2013 გადაწყვეტილებით,

თპუ რექტორის 2013 წლის 26 ოქტომბრის N97/07 ბრძანებით;

მოდიფიცირებულია:

თპუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 ივნისის N 14 გადაწყვეტილებით,

თპუ რექტორის 2019 წლის 05 ივნისის N118/07 ბრძანებით

თპუ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 12 აპრილის N 5 გადაწყვეტილებით

თპუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 აგვისტოს N 8 გადაწყვეტილებით

თპუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 მარტის N03 გადაწყვეტილებით

თპუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 მაისის N07 გადაწყვეტილებით

თპუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 სექტემბრის N15 გადაწყვეტილებით

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი/ LAW

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

ფაკულტეტი: სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციის კოდი: სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240

პროგრამის ხელმძღვანელი: კახი ყურაშვილი, პროფესორი, სამართლის დოქტორი, ტელ.: 595171717, ელ. ფოსტა: kakhi.gurashvili@thu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. ამასთან, სამართლის



საგანმანათლებლო პროგრამა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო და სიღრმისეული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკური პრინციპების, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალური სტანდარტების, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი;



საგანმანათლებლო პროგრამა

- გამოუმუშავოს იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, საპროცესო და სამართალშეფარდებითი აქტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;
- გამოუმუშავოს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

ცოდნა და გაცნობიერება:

1. აღწერს:

- სამართლის არსს, სამართლის ნიშნებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს, ასევე რომის სამართლის ძირითად ინსტიტუტებსა და კატეგორიებს;
- სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, კონსტიტუციური სამართალწარმოების თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს, საჯარო მმართველობის არსს, ფუნქციებს, საჯარო მმართველობის

საგანმანათლებლო პროგრამა

ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;

- კერძო სამართლის სისტემას, მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, უმნიშვნელოვანეს ცივილისტურ კატეგორიებს, ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
- დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს; განსაზღვრავს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს, სისტემას, წყაროებს, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების ფუნქციებს; იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს, ასევე ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალურ სტანდარტებს.

უნარები:

- ამოიცნობს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს. აანალიზებს სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- ადგენს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს; შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;



საგანმანათლებლო პროგრამა

- შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით;
- წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაშიწავლის“ პრინციპის დაცვით.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.



საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (30 ECTS), II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების (155 ECTS), III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების (45 ECTS) და IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (10 ECTS).

I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (30 ECTS)

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები შედგება ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსებისა (10 ECTS) სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი (5 ECTS) და ინგლისური ენის სასწავლო კურსებისაგან (15 ECTS).

1.1. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები

ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. ზოგადსავალდებულო სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი.

1.2. ინგლისური ენის სასწავლო კურსები

ინგლისური ენის სასწავლო კურსები ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე,



საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 15 კრედიტის მოცულობით, 3 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ამასთან, ბოლო მე-4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტი შეისწავლის სპეციალობისათვის რელევანტურ ინგლისურ ენას.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი), ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა მხოლოდ 5 კრედიტის დაგროვება სპეციალობისათვის რელევანტური ინგლისური ენის ხარჯზე. ამ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები (155 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები შედგება სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების (15 ECTS), საჯარო სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (40 ECTS), კერძო სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (50 ECTS), სისხლის სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (25 ECTS) და ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსებისგან (25 ECTS).

2.1. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები

სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები უყალიბებს სტუდენტს დარგობრივი დისციპლინების დაუფლებისათვის სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყის უნარებს, ასევე გამოუმუშავებს ძველი ქართული სამართლის წყაროების მოძიების, მათზე მუშაობის, საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის და დასაბუთების უნარებს. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი.

2.2 საჯარო სამართლის მოდულის სასწავლო კურსები



საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 40 კრედიტი.

2.3. კერძო სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 50 კრედიტი.

2.4. სისხლის სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი.

2.5 ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები

ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები საშუალებას აძლევს სტუდენტს განიმტკიცოს ცოდნა სამართლის სფეროში და გამოიმუშავოს პრაქტიკული და კვლევითი უნარები. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო სასწავლო კურსების/კომპონენტების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი.

III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები (45 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები შედგება სპეციალობის საბაზისო არჩევითი სასწავლო კურსების, საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, კერძო სამართლის



საგანმანათლებლო პროგრამა

მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების და ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების სფეროში ან საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში ან განიმტკიცოს პრაქტიკული უნარები. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 45 კრედიტი. ამასთან, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების შემადგენლობაში შემავალი თითოეული კომპონენტიდან არანაკლებ 5 კრედიტი.

IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (10 ECTS)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, უფლება აქვს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა ავტორიზებული უსდ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი, მაგრამ არა უმეტეს 10 კრედიტისა. ამასთან, სტუდენტს უფლება აქვს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა შეავსოს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ხარჯზე.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.



საგანმანათლებლო პროგრამა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (collaborative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007



საგანმანათლებლო პროგრამა

წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო აქტივობები (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, დებატებში, დისკუსიაში მონაწილეობა, წერიტი და ზეპირი დავალებების შესრულება და სხვ.) - მინიმუმ 24 ქულა; შუალედური გამოცდა: - მინიმუმ 11 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.



საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც



საგანმანათლებლო პროგრამა

მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;
- კერძო სამართლის იურიდიულ პირებში;
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო და უფლებადამცავ ორგანიზაციებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს საადვოკატო, სანოტარო ან საარბიტრაჟო საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკა;
- იმიტირებული პროცესებისათვის მოწყობილი აუდიტორია.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, ინტერნეტ-რესურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო-მეთოდურ მასალას, რომლის შევსება-განახლება ხდება ყოველწლიურად.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემა (www.matsne.gov.ge), ასევე შემდეგი საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები, ბმულები:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა [<http://www.nplg.gov.ge/geo/home/>];
- ციფრული ბიბლიოთეკა - ივერიელი [<http://dspace.nplg.gov.ge/>];
- სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (ELL) [<http://library.court.ge/login.php?geo&authorisation>];



საგანმანათლებლო პროგრამა

- დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ელექტრონული ბიბლიოთეკა [<http://www.princedavid.ge/ge/allpage.php?id=89&lang=geo>];
- LawLibrary - იურიდიული ლიტერატურა ერთ თაროზე [<http://lawlibrary.info/ge/>] და სხვ.

ა(ა)იპ „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-სა და შპს - „თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“, „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL“ მონაწილეთა კონსორციუმის წევრია და შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს მრავალფეროვანი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული ჟურნალები და სხვა ელექტრონული მასალები [<https://www.dukeupress.edu>, <https://www.elgaronline.com/page/70/journals>, <https://us.sagepub.com/en-us/nam/home>].

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული სხვადასხვა საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული არიან შემდეგი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
- რუსთავის საქალაქო სასამართლო;
- საქართველოს ნოტარიუსთა პალატა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ქალაქ რუსთავის მერია;



საგანმანათლებლო პროგრამა

- თბილისის მერიის ააიპ სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრი - „ჩემი ადვოკატი“;
- ააიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი;
- ააიპ ინოვაციების განვითარების ფონდი;
- ააიპ სოციალურ კულტურული განვითარების ცენტრი;
- სს სილქნეტი;
- ააიპ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხთა კვლევის ჯგუფი;
- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო;



საგანმანათლებლო პროგრამა

დანართი 1.

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	ECTS კრედიტი /საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (30 ECTS)							
1.1. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები (10 ECTS)							
1	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები	BLAW 1001	5/125	48	77	არ გააჩნია	1
2	აკადემიური წერა	BLAW 1002	5/125	48	77	არ გააჩნია	1
3	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	BLAW 1003	5/125	48	77	არ გააჩნია	1
1.2. ინგლისური ენის სასწავლო კურსები (20 ECTS)							
1	ინგლისური ენა - 1	BLAW 2001	5/125	48	77	არ გააჩნია	2
2	ინგლისური ენა - 2	BLAW 2002	5/125	48	77	BLAW 2001	3
3	ინგლისური ენა იურისტებისთვის	BLAW 2003	5/125	48	77	BLAW 2002	4
II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები (155 ECTS)							
2.1. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები (15 ECTS)							
1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	BLAW 3001	5/125	48	77	არ გააჩნია	1
2	ქართული სამართლის ისტორია	BLAW 3002	5/125	48	77	არ გააჩნია	1
3	რომის სამართლის საფუძვლები	BLAW 3003	5/125	48	77	არ გააჩნია	2
2.2. საჯარო სამართლის მოდული (40 ECTS)							
1	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	BLAW 4001	5/125	48	77	არ გააჩნია	1
2	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	BLAW 4002	5/125	48	77	BLAW 4001	2



საგანმანათლებლო პროგრამა

3	ადამიანის ძირითადი უფლებები	BLAW 4003	5/125	48	77	BLAW 4002	3
4	ადმინისტრაციული სამართალი (საჯარო მმართველობა)	BLAW 4004	5/125	48	77	BLAW 4002	3
5	ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება)	BLAW 4005	5/125	48	77	BLAW 4004	4
6	საერთაშორისო საჯარო სამართალი	BLAW 4006	5/125	48	77	BLAW 4002	4
7	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	BLAW 4007	5/125	48	77	BLAW 4003	5
8	ადმინისტრაციული სამართალის პროცესი	BLAW 4008	5/125	48	77	BLAW 4005 BLAW 5006	6
2.3. კერძო სამართლის მოდული (50 ECTS)							
1	შესავალი სამოქალაქო სამართალში	BLAW 5001	5/125	48	77	არ გააჩნია	2
2	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	BLAW 5002	5/125	48	77	BLAW 5001	3
3	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	BLAW 5003	5/125	48	77	BLAW 5001	3
4	სახელშეკრულებო სამართალი	BLAW 5004	5/125	48	77	BLAW 5003	4
5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	BLAW 5005	5/125	48	77	BLAW 5003	4
6	სამოქალაქო საპროცესო სამართალი - 1	BLAW 5006	5/125	48	77	BLAW 5004	5
7	სოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	BLAW 5007	5/125	48	77	BLAW 5004	5
8	შრომის სამართალი	BLAW 5008	5/125	48	77	BLAW 5004	5
9	სამოქალაქო საპროცესო სამართალი - 2	BLAW 5009	5/125	48	77	BLAW 5006	6
10	საკორპორაციო სამართალი	BLAW 5010	5/125	48	77	BLAW 5004	6
2.4. სისხლის სამართლის მოდული (25 ECTS)							
1	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	BLAW 6001	5/125	48	77	არ გააჩნია	2
2	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	BLAW 6002	5/125	48	77	BLAW 6001	3
3	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)	BLAW 6003	5/125	48	77	BLAW 6002	4
4	სისხლის საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	BLAW 6004	5/125	48	77	BLAW 6003	5
5	სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)	BLAW 6005	5/125	48	77	BLAW 6004	6



საგანმანათლებლო პროგრამა

2.5. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები (25 კრედიტი)							
1	იურიდიულ პროფესიათა ეთიკა	BLAW 7001	5/125	48	77	BLAW 5006 BLAW 6004	6
2	პროფესიული პრაქტიკა	BLAW 7002	10/250	242	8	BLAW 7001	7
3	საბაკალავრო ნაშრომი	BLAW 7003	10/250	30	220	180 ECTS	8
III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები (45 ECTS)							
3.1. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები							
1	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	BLAW 3004	5/125	48	77	არ გააჩნია	2-8
2	სამართლის მეთოდები	BLAW 3005	5/125	48	77	არ გააჩნია	2-8
3	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში	BLAW 3006	5/125	48	77	არ გააჩნია	2-8
3.2. საჯარო სამართლის მოდული							
1	საარჩევნო სამართალი	BLAW 4009	5/125	48	77	BLAW 4002	5-8
2	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	BLAW 4010	5/125	48	77	BLAW 4005	5-8
3	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში	BLAW 4011	5/125	48	77	BLAW 4003 BLAW 4005	5-8
4	სამოხელეო სამართალი	BLAW 4012	5/125	48	77	BLAW 4005	5-8
5	დემოკრატია და მოქალაქეობა	BLAW 4013	5/125	48	77	არ გააჩნია	2-8
6	საგადასახადო სამართალი	BLAW 4014	5/125	48	77	BLAW 4008	7-8
7	სააღსრულებო სამართალი	BLAW 4015	5/125	48	77	BLAW 4008	7-8
8	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	BLAW 4016	5/125	48	77	BLAW 4002	5-8
3.3. საერთაშორისო სამართლის მოდული							
1	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	BLAW 4017	5/125	48	77	BLAW 4006 BLAW 2003	5-8
2	ევროკავშირის სამართალი	BLAW 4018	5/125	48	77	BLAW 4006 BLAW 2003	5-8



საგანმანათლებლო პროგრამა

3	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	BLAW 4019	5/125	48	77	BLAW 4006	5-8
4	საერთაშორისო საჰაერო სამართალი	BLAW 4020	5/125	48	77	BLAW 4006	5-8
5	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი	BLAW 4021	5/125	48	77	BLAW 4006 BLAW 2003	5-8
3.4. კერძო სამართლის მოდული							
1	გადახდისუუნარობის სამართალი	BLAW 5011	5/125	48	77	BLAW 5009	7-8
2	საერთაშორისო კერძო სამართალი	BLAW 5012	5/125	48	77	BLAW 5009	7-8
3	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	BLAW 5013	5/125	48	77	BLAW 5004	7-8
4	საბანკო სამართალი	BLAW 5014	5/125	48	77	BLAW 5004	7-8
5	სანოტარო სამართალი	BLAW 5015	5/125	48	77	BLAW 5010	7-8
6	კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენება სამართალში	BLAW 5016	5/125	48	77	BLAW 5004 BLAW 5005	7-8
7	ხელშეკრულების შედგენის მეთოდის გამოყენება სამართალში	BLAW 5017	5/125	48	77	BLAW 5007 BLAW 5008	7-8
8	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები	BLAW 5018	5/125	48	77	BLAW 5009	7-8
3.5. სისხლის სამართლის მოდული							
1	სასჯელის შეფარდება	BLAW 6006	5/125	48	77	BLAW 6001	7-8
2	კრიმინოლოგია	BLAW 6007	5/125	48	77	BLAW 6003	7-8
3	სასჯელსრულების სამართალი	BLAW 6008	5/125	48	77	BLAW 6005	7-8
4	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	BLAW 6009	5/125	48	77	BLAW 6003	7-8
5	კრიმინალისტიკა (დანაშაულის გახსნის მეთოდის გამოყენება)	BLAW 6010	5/125	48	77	BLAW 6005	7-8
6	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	BLAW 6011	5/125	48	77	BLAW 6005	7-8
7	კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენება სისხლის სამართალში	BLAW 6012	5/125	48	77	BLAW 6003	7-8
8	დავის ხელოვნება	BLAW 6013	5/125	48	77	BLAW 6005	7-8
3.6. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები							
1	საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი	BLAW 7004	5/125	48	77	BLAW 4007 BLAW 4008	7-8



საგანმანათლებლო პროგრამა

2	კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	BLAW 7005	5/125	48	77	BLAW 5009	7-8
3	სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი	BLAW 7006	5/125	48	77	BLAW 6005	7-8
IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (10 ECTS)							

დანართი 2

სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო სემესტრული განაწილება

№	1 სემესტრი	ECTS	№	2 სემესტრი	ECTS
1	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5/125	1	ინგლისური ენა - 1	5/125
2	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები	5/125	2	რომის სამართლის საფუძვლები	5/125
3	აკადემიური წერა	5/125	3	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები ან თავისუფალი კომპონენტი	5/125
4	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5/125	4	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	5/125
5	ქართული სამართლის ისტორია	5/125	5	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5/125
6	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	5/125	5	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	5/125
№	3 სემესტრი	ECTS	№	4 სემესტრი	ECTS
1	ინგლისური ენა - 2	5/125	1	ინგლისური ენა იურისტებისთვის	5/125
2	ადამიანის ძირითადი უფლებები	5/125	2	ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება)	5/125
3	ადმინისტრაციული სამართალი (საჯარო მმართველობა)	5/125	3	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5/125
4	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	5/125	4	სახელმეცრულებო სამართალი	5/125
5	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5/125	5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	5/125



საგანმანათლებლო პროგრამა

6	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	5/125	6	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)	5/125
№	5 სემესტრი	ECTS	№	6 სემესტრი	ECTS
1	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	5/125	1	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	5/125
2	სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1	5/125	2	სამოქალაქო სამართლის პროცესი - 2	5/125
